ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს წევრის დავით რურუას

2018 წლის ანგარიში

2017 წლის ნოემბრიდან ვარ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მე-6 მოწვევის წევრი, ფრაქციის ,,ქართული ოცნება - მრეწველები" წევრი, საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის წევრი, სატრანსპორტო საკითხთა კომისიის წევრი.

- **საკრებულოს სხდომებში, კომისიებისა და ფრაქციების მუშაობაში მონაწილეობის შესახებ ინფორმაცია:**

მე-6 მოწვევის საკრებულოს მუშაობის პერიოდში დღემდე ჩატარდა ბიუროს 28 სხდომა და საკრებულოს 29 სხდომა. აღნიშნულ სხდომებზე მიღებულია 127 დადგენილება და 397 განკარგულება. საანგარიშო პერიოდში მონაწილეობა მივიღე საკრებულოს 24 სხდომის მუშაობაში.

საანგარიშო პერიოდში საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიაში ჩატარდა 19 სხდომა და განხილულ იქნა 55 საკითხი. აქედან მონაწილეობა მივიღე 16 სხდომის მუშაობაში.

საანგარიშო პერიოდში კომისიამ ორგანიზება გაუწია სხვადასხვა ღონისძიებებსა და შეხვედრებს:

- **საქართველოს პირველი ახალგაზრდული ფორუმი ადგილობრივი თვითმმართველობისთვის;**

ახალგაზრდული ფორუმი საქართველოში პირველად გაიმართა და მიზნად ისახავდა სხვადასხვა მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებს შორის ურთიერთთანამშრომლობის გაღრმავებას და კომუნიკაციის გაუმჯობესებას. მუნიციპალიტეტის საკრებულოების ახალგაზრდა წევრთა ერთიან ფორმატში რეგულარული შეხვედრა ხელს შეუწყობს მუნიციპალიტეტების საერთო მიზნების ირგვლივ გაერთიანებას.

ფორუმში დელეგატის სტატუსით 64 მუნიციპალიტეტის საკრებულოს ყველაზე ახალგაზრდა წევრები (ასაკი 21-29 წელი) მონაწილეობდნენ. მათ წარმოადგინეს საკუთარი საქმიანობის შესახებ მოხსენებები, შეთანხმდნენ თანამშრომლობის შემდგომ ნაბიჯებზე, შეიმუშავეს საერთო წინადადებები, რაც ერთიან რეზოლუციაზე ხელმოწერით დაადასტურეს.

ფორუმს ასევე ესწრებოდნენ საქართველოს პრემიერ-მინისტრი, საქართველოს პარლამენტის წევრები, დედაქალაქის მერი, საკრებულოს თავმჯდომარე, დიპლომატიური კორპუსის, სამთავრობო და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები.

- **კამპანიის „წარმატებული სპორტსმენები საკრებულოში“ ფარგლებში კომისიის ორგანიზებით გაიმართა:**

  საქართველოს მოკრივეთა 22 წლამდელთა და ძალოსანთა ნაკრების წარმატებული წევრებისა და ფედერაციების წარმომადგენლების მიღება

  საქართველოს სამბოს ნაკრების წევრების, კონტაქტური კარატეს წარმატებული სპორტსმენების და ფედერაციის წარმომადგენლების მიღება.

- **კამპანია „როდესაც სპორტი ცვლის სამყაროს“**

5 ივნისიდან კამპანიის ფარგლებში ჩატარდა ოთხი შეხვედრა, 158-ე, 85-ე, 199-ე და 174-ე საჯარო სკოლებში. მოეწყო სხვადასხვა სფეროს წარმატებული სპორტსმენთა შეხვედრა საჯარო სკოლის მოსწავლეებთან.

- **მუნიციპალური სპორტული ბაზის შექმნა;**

- **სამუშაო შეხვედრა საკრებულოს მაჟორიტარ დეპუტატებთან;**
- **სამუშაო შეხვედრა ახალგაზრდული მიმართულებით მომუშავე ორგანიზაციებთან;**
- **სამუშაო შეხვედრა სპორტულ ფედერაციებთან და მუნიციპალურ ა(ა)იპ-ებთან;**

  შეხვედრის მიზანი იყო დედაქალაქში სპორტის მიმართულებით არსებული პრობლემების იდენტიფიცირება და ფედერაციებთან და ა(ა)იპ-ებთან სამომავლო თანამშრომლობის გზების დასახვა. შეხვედრაზე სპორტის მიმართულებით მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროექტები და მიმდინარე პრიორიტეტები განვიხილეთ
  .
- **სამუშაო შეხვედრა საერთაშორისო ორგანიზაცია „World Vision - საქართველოს" წარმომადგენლთან;**

სამუშაო შეხვედრა ჯორჯ ვაშინგტონის უნივერსიტეტის მეცნიერ ბრეტ ბაროუმენთან, რომელიც საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტის (IRI) წარმომადგენლის ინიციატივით გაიმართა.

- **კომისიის გასვლითი შეხვედრა/მონიტორინგი**

მონიტორინგი განვახორციელეთ მუნიციპალურ სპორტულ და ახალგაზრდულ ა(ა)პებში, ადგილზე გავეცანით მუნიციპალური ცენტრების საქმიანობას. აქტივობის ფარგლებში მოხდა (ა)იპ „გლდანი-ნაძალადევის კომპლექსური სპორტული ცენტრისა" (გლდანის აუზი) და ფონიჭალის ახალგაზრდული ცენტრების მონახულება, ასევე, ,,ისანი-სამგორის კომპლექსურ სპორტულ ცენტრის" ვაზისუბანში სარაგბო კომპლექსის მშენებლობის პროცესის ადგილზე გაცნობა.

- **სამუშაო შეხვედრა თბილისის გენგეგმის პროექტზე მომუშავე ჯგუფთან**

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიამ დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის პროექტთან დაკავშირებით სამუშაო შეხვედრა გამართა.

კომპანიასთან ,,სითი ინსტიტუტი" ერთად მოეწყო გენგეგმაში გასათვალისწინებელი ყველა მნიშვნელოვანი საკითხის წინასწარი განხილვა. ასევე ვისაუბრეთ იმ სამოქმედო გეგმაზე, რომელიც 2020 წლიდან სოციალური ინფრასტრუქტურის, მათ შორის სპორტის ინფრასტრუქტურის ნაწილში ამოქმედდება.

საანგარიშო პერიოდში კომისიის წევრებთან ერთად მონაწილეობა მივიღე შემდეგ სამუშაო შეხვედრებსა და ღონისძიებებში:

- სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის ახალგაზრდული პორტალის პრეზენტაცია;

- ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ ორგანიზებული ფორუმი „ახალგაზრდობის ფორუმი 2018“, რომლის მიზანი იყო მუნიციპალური პრიორიტეტების განსაზღვრაში და პროგრამების განხორციელებაში ახალგაზრდული და სამოქალაქო ორგანიზაციების მონაწილეობის ხელშეწყობა და თბილისში განათლებისა და ახალგაზრდობის სფეროს განვითარების მიზნით ერთობლივი პროგრამების დაგეგმვა.

- საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების ორგანიზებით გამართული სამუშაო შეხვედრა, რომელიც მიზნად ისახავდა არასამთავრობო ორგანიზაციების, საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლების ერთობლივი მსჯელობის შედეგად მოხალისეობის შესახებ საქართველოში არსებული საკანონმდებლო ბაზის ხარვეზების იდენტიფიცირებასა და მათი აღმოფხვრის გზების განხილვას;

- საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ადმინისტრაციისა და სტუდენტური თვითმმართველობის ერთობლივი, მასშტაბური სტუდენტური პროექტი „სტუ-ს სტუდენტური დღეები 2018 - ჯანსაღი ცხოვრებით თავისუფლებისკენ“ პრეზენტაცია;

- შეხვედრა მინსკის საკრებულოს წარმომადგენლებთან. შეხვედრის მიზანი იყო თბილისისა და მინსკის საკრებულოებს შორის გამოცდილების გაზიარება და ურთიერთანამშრომლობის გაღრმავება;

- საქართველოს პარლამენტის სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომიტეტის მიერ ორგანიზებული შეხვედრა კოორდინაციის გაუმჯობესება ადგილობრივ და ცენტრალურ დონეზე“. შეხვედრის ფორმატში, ახალგაზრდული პოლიტიკის განხორცილების პროცესში ცენტრალურ და ადგილობრივ ხელისუფლებას შორის კოორდინაციის გაძლიერებაზე იმსჯელეს;

- საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ „მასობრივი სპორტის ხელმისაწვდომობისა და განვითარების სტრატეგიის“ დოკუმენტის განხილვის მიზნით, გაიმართა ორი სამუშაო შეხვედრა. შეხვედრაზე განიხილეს მასობრივი სპორტის განვითარების ხედვა, არსებული გამოწვევები და პრობლემები და მათი გადაჭრის გზები;

- საქართველოს პარლამენტის სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომიტეტის სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა ინიციატივით პარლამენტის წევრები, აღმასრულებელი ხელისუფლების და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები, არაფორმალურ გარემოში, ახალგაზრდებს შეხვდნენ. დისკუსიის ფორმატში მონაწილეებმა იმსჯელეს ორ საკითხზე - საპარლამენტო საქმიანობაში ახალგაზრდების აქტიური ჩართულობისთვის მექანიზმების ჩამოყალიბება (#ახალგაზრდებთან_ერთად) და ახალგაზრდების წინაშე არსებული გამოწვევების მოგვარების პროცესში პარლამენტის როლის გაძლიერება (#ახალგაზრდებისთვის);

- საქართველოს პარლამენტის სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომიტეტის მიერ ორგანიზებული შეხვედრა, რომელზეც წარადგინეს კომიტეტის 2018-2020 წლების სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის პრეზენტაცია;

- სპორტის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება;

- ა(ა)იპ "კარგი მმართველობის ინსტიტუტის" ორგანიზებითა და საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის დაფინანსებით განხორციელებულ ახალგაზრდა ამომრჩეველთა სამოქალაქო განათლების ხელშეწყობის პროექტის "ჩემი ხმა გადამწყვეტია" ფარგლებში ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში სტუდენტებთან შეხვედრა გაიმართა;

  პროექტის მიზანი ახალგაზრდა ამომრჩეველთა საარჩევნო-პოლიტიკურ საკითხებში განათლება, ინფორმირებული არჩევანის გაკეთების ხელშეწყობა და ახალგაზრდების სახელმწიფოებრივ პროცესებში ჩართულობის დონის ამაღლებაა.

- თბილისის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის წევრები 11 სექტემბერს თბილსში, ევროპული ფეხბურთის ერთ-ერთი გრანდის, ტურინის ,,ივენტუსის" საზაფხულო კემპის გახსნას დაესწრნენ. საზხულო კემპს თბილისის ზღვასთან მდებარე საფეხბურთო კლუბ ,,ზესტაფონის" ბაზამ უმასპინძლა, პროექტი, მერიის თანადაფინანსებით განხორციელდა.

- დედაქალაქს ახალი სპორტული ცენტრი შეემატება. 12 ოქტომბერს ნაძალადევის სპორტული ცენტრი გაიხსნა. სპორტული ცენტრის მშენებლობა მიმდინარეობდა 3247 კვ/მ-ზე და სრული დატვირთვის შემდეგ მოემსახურება 1000–ზე მეტ ბენეფიციარს. ნაძალადევის სპორტული კომპლექსი მოიცავს: ჭიდაობის დარბაზს, კრივის რინგს, 2 საცურაო აუზს (დიდი - 25 მ. პატარა - 15 მ), ფიტნეს-დარბაზს, გასახდელებს და სველ წერტილებს, კაფეს. სპორტულ მაღაზიას. ცენტრში იფუნქციონირებს ცურვის, წყალბურთის, ჭიდაობის, კრივის, მხატვრული ტანვარჯიშის, აღმოსავლური ორთაბრძოლის, ფიტნესის სექციები.

  დავესწარი სპორტული ცენტრის გახსნას კომისის წევრებთან ერთად . აღსანიშნავია, რომ რაიონში მსგავსი ტიპის სპორტული ცენტრი აქამდე არ არსებობდა. სპორტული

კომპლექსების მშენებლობის პროგრამა მიზნად ისახავს სერვისებზე ხელმისაწვდომობის ზრდას, ცხოვრების ჯანსაღი წესის პოპულარიზაციას და სპორტულ ცხოვრებაში ახალგაზრდების ჩართვას.

მინდა ხაზგასმით აღვნიშნო შემდეგი ღონისძიებები რომლების საანგარიშო პერიოდს მოიცავს

1 .თბილისის ორ რაიონში - **ვარკეთილსა და დიდ დიღომში დაიწყება მულტიფუნქციური სპორტული კომპლექსების** მშენებლობა. ამ ეტაპზე ტენდერი დასრულდა სამშენებლო-საპროექტო და სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურებაზე.

აღნიშნულ ცენტრებში განთავსებული იქნება ახალგაზრდული და კულტურული სივრცეებიც, სადაც მოქალაქეები სხვადასხვა სერვისს მიიღებენ;

2. ფინანსური მხარდაჭერა გაეწია სპორტულ დაწესებულებებში მომუშავე სპორტის სხვადასხვა სახეობის 345 მწვრთნელ - მასწავლებელს, რომლებიც სპორტის 49 სახეობაში ავარჯიშებენ მოზარდებს;

3. სპორტის 34 სახეობაში დაფინანსდა 18 წლამდე ასაკის 240 წარმატებული სპორტსმენი მოზარდი;

4. თბილისში მასობრივი სპორტის განვითარებისა და ახალგაზრდების სპორტულ ცხოვრებაში აქტიურად ჩართულობის გაზრდის მიზნით განხორციელდა 32 სპორტული ფედერაციისა და კლუბის საჭირო ინვენტარითა და სპორტსმენთა ეკიპირებით უზრუნველყოფა.

5.ა(ა)იპ ,,გლდანი-ნაძალადევის კომპლექსური სპორტული ცენტრის" ნაძალადევის კომპლექსის, საცურაო აუზისა და სპორტული დარბაზის განახლების სამუშაოები და გახსნა. სპორტულ ბაზაზე მოეწყო ჭიდაობის დარბაზი, კრივის რინგი და 2 საცურაო აუზი (დიდი - 25 მ. პატარა - 15 მ). ასევე სპორტსმენებისთვის მოეწყო ფიტნეს-დარბაზი, გასახდელები და კაფე. სრული დატვირთვის შემდეგ ცენტრი მოემსახურება 1 000-ზე მეტ ბენეფიციარს.

6. დაბა წყნეთში, დ.ამილახვარის ქ. N21-ში დაიწყო სპორტული დარბაზის სამშენებლო სამუშაოები. ობიექტში განთავსდება: სავარჯიშო დარბაზი, ტრიბუნა, სატრენაჟორო სივრცე, გასახდელი და სველი წერტილი, ადმინისტრაციული ოთახები.

მშენებლობა დასრულდება 2018 წლის ბოლოს.

საანგარიშო პერიოდში საკრებულოს სატრანსპორტო საკითხთა კომისიამ ჩაატარა 19 სხდომა, აქედან მონაწილეობა მივიღე 15 სხდომის მუშობასა და 40 საკითხის განხილვაში.

აქედან გამოვყოფ რამდენიმე საკითხს:

1. დედაქალაქში ტრანსპორტისა და სატრანსპორტო/საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარების სამოქმედო გეგმის პროექტი.
2. ინფორმაციის მოსმენა მეტროსადგურ „ვარკეთილში“ მომხდარი ინცინდენტის შესახებ.
3. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიასა და ევროპის რეკონსტრუქციის და განვითარების ბანკს შორის, ავტობუსების ქსელის რესტრუქტურიზაციის და ინტეგრირებული ავტომატიზირებული მგზავრობის საფასურის შეგროვების სისტემის შესამუშვებლად გასაფორმებელი გრანტის ხელშეკრულების თაობაზე თანხმობის მიცემა

4. თბილისის მუნიციპალიტეტსა და ევროპის რეკონსტრუქციის და განვითარების ბანკს შორის, „თბილისის ავტობუსების პროექტი - კორპორატიული განვითარებისა და დაინტერესებულ მხარეთა მონაწილეობის პროგრამის“ განხორციელების მიზნით გასაფორმებელი გრანტის ხელშეკრულების განხილვა

5. კომპანია ,,სისტრას“ პრეზენტაცია თბილისში საზოგადოებრივი ტრანსპორტის განვითარების მიმართულებით დაგეგმილი და განსახორციელებელი/განხორციელებული ღონისძიებების შესახებ.

6. კომპანია ,,ფრეგობასის“ პრეზენტაცია ელექტროავტობუსების შესახებ.

7. თბილისის მუნიციპალიტეტში, თბილისის საკონცერტო დარბაზის მიმდებარედ, მრავალდონიანი მიწისქვეშა ავტოსადგომის მშენებლობის ტექნიკურ-ეკონომიკური შესწავლის, მშენებლობის, ოპერირებისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისთვის გადმოცემის თაობაზე ინტერესთა გამოხატვის გამოცხადების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი

8. საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში მსუბუქი ავტომობილით-ტაქსით (M1 კატეგორია) გადაყვანის სანებართვო პირობების, ნებართვის გაცემის წესის, ნებართვის მოქმედების ვადის, ნებართვის გაცემის ფასისა და მისი გადახდის წესის, სანებართვო მოწმობის ფორმის, ნებართვის მქონე პირების შესახებ ერთიანი საინფორმაციო ბაზის შექმნის, განახლების და დამუშავების წესის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი

9. გეგეშიძის ბაღის მიმდებარედ მიწისქვეშა ავტოსადგომის მშენებლობის ტექნიკურ-ეკონომიკური შესწავლის,მშენებლობის და ოპერირების მიზნით უძრავი ქონების პრივატიზების თაობაზე ინტერესთა გამოხატვის პირობების მოწონების შესახებ

10. ვარკეთილის მეტროს მიმდებარედ მიწისქვეშა ავტოსადგომის მშენებლობის ტექნიკურ-ეკონომიკური შესწავლის, მშენებლობისა და ოპერირების მიზნით უძრავი ქონების პრივატიზების თაობაზე ინტერესთა გამოხატვის პირობების შესახებ

11. რკინიგზის სადგურის მიმდებარედ მიწისქვეშა ავტოსადგომის მშენებლობის ტექნიკურ-ეკონომიკური შესწავლის, მშენებლობისა და ოპერირების მიზნით უძრავი ქონების პრივატიზების თაობაზე ინტერესთა გამოხატვის პირობების შესახებ

ძალიან მნიშვნელოვანია თბილისში განასახორციელებელი პროექტები, რაც 2020 წლიდან დედაქალაქში 200-მდე ელექტროავტობუსების შემოყვანას ითვალისწინებს. იგეგმება მეტროპოლიტენის 12 ახალი შემადგენლობის დამატებაც.

სატრანსპორტო საკითხთა კომისიის ფორმატში მონაწილეობა მივიღე შეხვედრებში:

- აზიის განვითარების ბანკის წარმომადგენლებთან,
- თბილისის ტერიტორიაზე გამოვლენილ ინფრასტრუქტურულ პრობლემებზე ოპერატიული პროგრამის პრეზენტაცია
- შპს ,,თბილისის მიკროავტობუსის“ ხელმძღვანელობასთან
- ელექტროავტობუსის სატესტო გასვლის ღონისძიება

საანგარიშო პერიოდში დავესწარი და მონაწილეობა მივიღე ფრაქციის ,,ქართული ოცნება - მრეწველები“ 15 სხდომასა და ფრაქცია ,,ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ 23 სხდომის მუშობაში.

ფრაქციის სხდომების ფორმატში გავეცანი თბილისის საკრებულოს წევრებისა და მერიის ხელმძღვანელობის ანგარიშებს გაწეული საქმიანობისა და არსებული პრობლემების იდენტიფიცირებისა და აღმოფხვრის გზების შესახებ. მათ შორის გამოვყოფდი:

- თბილისის მუნიციპალიტეტში არსებული პრობლემები (მომხსენებელი კ. კალაძე)

- თბილისის სამგორის რაიონის ელექტრონული რუკის პრეზენტაციას (მომხსენებელი გ. ტყემალაძე)

- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან არსებული თვითნებურად დაკავებულ მიწაზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიის საქმიანობის შესახებ ანგარიშის პრეზენტაცია (მომხსენებლი ა. ლაშხი)

- თბილისის მუნიციპალიტეტის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის პროექტის მიმოხილვა (მომხსენებელი მ. ბითაძე)

- ქ. თბილისის სატრანსპორტო პოლიტიკის სამომავლო გეგმა. (მომხსენებელი ი. ხმალაძე)

- თბილისის მუნიციპალიტეტის მეტროპოლიტენის თანამშრომლებთან მათი ხელფასების მატების საკითხის განხილვა 2019 წლის ბიუჯეტის ფორმირებისას. (მომხსენებელი: ი. ხმალაძე)

- „IRI“-ს კვლევების პრეზენტაციის საკითხი;

- ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის საქმიანობის ანგარიში.

- თბილისის მუნიციპალიტეტში არსებული საბავშვო ბაგა-ბაღების რეაბილიტაციის შესახებ;

- ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის საქმიანობის ანგარიში;